საჯარო სამართლის
იურიდიული პირი
სოციალური მომსახურების
სააგენტო

ს/კ 202178927

Legal Entity of Public Law

SOCIAL SERVICE
AGENCY

KA030468553528420

საქართველო, თბილისი 0119; აკ.წერეთლის გამზ. 144; ტელ.: (+995 32) 510 047; 510 048; 510 049

144 Ak.Tsereteli ave., 0119, Tbilisi, Georgia; Tel.: (+995 32) 510 047; 510 048; 510 049

№ 04/10990 **21 / მაისი / 2020 წ.**

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან
დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური
დაცვის სამინისტროს ეკონომიკური დეპარტამენტის
უფროსს, პირველადი სტრუქტურული ერთეულის
ხელმძღვანელს, ბატონ ბექა ჯაყელს

ბატონო ბექა,

„საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებულ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებში ზოგიერთი საკითხის მოწესრიგების შესახებ“ საქართველოს, შრომის ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრის 2019 წლის 11 ნოემბრის N01-342/ო ბრძანების პირველი მუხლის „ე“ პუნქტის შესაბამისად, შესათანხმებლად წარმოგიდგენთ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ 2020 წლის განმავლობაში განსახორციელებელი სახელმწიფო შესყიდვების კორექტირებულ გეგმას დანართის მიხედვით. ამასთანავე მოგახსენებთ, რომ გეგმის ცვლილება განპირობებულია შემდეგი გარემოებით:

1. იმერეთის სოციალური მომსახურების სამხარეო ცენტრის უფროსის მოადგილე თამაზი ვაშაყმაძის 2020 წლის 15 მაისის N04-06/3344 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე, სოციალური მომსახურების სააგენტოს ბალანსზე არსებული 2 (ორი) ერთეული ავტოსატრანსპორტო საშუალებისათვის 365 (სამას სამოცდახუთი) დღის პარკირების შესყიდვა.

აღნიშნულიდან გამომდინარე: გეგმას დაემატოს CPV კოდი 63712400 (ავტოსადგომთა მომსახურებები რიგითი ნომერი თანდართულ ცხრილში - 62) შესყიდვის საშუალება - გამარტივებული შესყიდვა) და მისი ღირებულება განისაზღვროს 80 (ოთხმოცი) ლარით.

2. სამეგრელო-ზემო სვანეთის სოციალური მომსახურების სამხარეო ცენტრის უფროსის ავთანდილ ცქვიტაიას 2020 წლის 19 მარტის N04-09/2012 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე, სოციალური მომსახურების სააგენტოს სამეგრელო–ზემო სვანეთის სამხარეო ცენტრის ბალანსზე რიცხული წყლის საქაჩის გიდროფონის შესყიდვა.

აღნიშნულიდან გამომდინარე: გეგმას დაემატოს CPV კოდი 42120000 (ტუმბოები და კომპრესორები რიგითი ნომერი თანდართულ ცხრილში - 44) შესყიდვის საშუალება - გამარტივებული შესყიდვა) და მისი ღირებულება განისაზღვროს 60 (სამოცი) ლარით.

დანართი: სახელმწიფო შესყიდვების გეგმა - Excel-ის ფორმატის 1 (ერთი) ფაილი.

პატივისცემით,

დირექტორის მოადგილე

ხელმოწერილია/
მტკიცდასმულია
ელექტრონულად

ლევან გოგოძე